ცნობის ფურცელი

№ 2090 | შაბათი, 8 მარტი | 1896—1903 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2090

ხელმოწერის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

კნეინა ანასტასია დავითის ასული და თავადი სიმონ დავითის ძე წერეთლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას პირველი—დედის, ხოლო მეორე—სიდედრის

ეფემია არჩევანის ასულის ავალიშვილისას

გამოსვენება (გეიდენოვის ქუჩა, № 5, სახლი ჩილოვსკისა) 8 მარტს ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში. დილით 9 საათზე კუკიის სასაფლაოზე. (2—1)

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. ჰალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—68)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ზანდუკელიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

ექიმები:

გ. ი. ჩიქოვანძე—ბავშვის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

გ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ბ. ზ. ზალდასტანიშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. ა. ახალშენიშვილი—ბავშვის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კაჯაია.—საშარდე (ქირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის სენები—ორშ.ოთხშ. და შაბათი $11^1/_2$—$12^1/_2$.

დ. ა. ვიდიბაშიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

გ. გ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: ყოველდღე 10—12.

ნ. ზ. ამბარდანოვი—საოსტატოსა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. ვ. ხოპოლოვსკი—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ექიმები:

ა. ზ. ზალდასტანიშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ქალების ავადმყოფობა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კონსილიუმი—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკანცელარიოს, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 374 (წ.

ექიმი

ც. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ახლოს კუთხისთან. ტელეფონი 612

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

კვირას, 9 მარტს დანიშნულია

დურგალთა არტელის „შრომის" წევრთა საზოგადო კრება,

იგი გაგრძელება იქმნება 2 თებერვალს მომხდარ კრებისა.

განსახილველი საგნები:

1) სარევიზიო კომისიის მოხსენება,
2) ამხანაგობის მოქმედების ანგარიში,
3) არჩევა გამგეობის წევრთა,
4) არჩევა სარევიზიო კომისიისა,
5) არჩევა ახალი წევრებისა,
6) მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

ეს კრება, რამდენი წევრიც უნდა დესწროს, კანონიერად ჩაითვლება, რადგან გაგრძელებაა წინა კრებისა. (1—1)

ერთი კარგი ადათი

(სოფლის მასწავლებელთა და მშობელთა საყურადღებოდ)

გაზაფხული იწყება და გვინდა მოვაგონოთ სოფლის მასწავლებლებს და მშობლებს ერთი კარგი ჩვეულება, რომელიც განათლებულ ქვეყნებში ადათად დაწესებულა. მშობლებს გაჰყავთ შვილები თავის ბაღში, აძლევენ ხეხილის ან ისე უბრალო ხის ნერგს და საკუთარის ხელით ანერგვინებენ. ბაღჩაში ან ეზოში ათესინებენ ყვავილს, ნერგს ანერგვინებენ. სკოლის მასწავლებელს შაგირდები მიჰყავს სოფლის გარედ, სადაც მოუშიშვლებული ადგილია, და ტყის ხის ნერგს ჩააყრევინებს, ამისთვის ადგილობრივის მიხედვით წელიწადში გაზაფხულობით ერთი უქმე დღე აქვთ დაწესებული, რომელსაც ეძახიან „დარგვისა და დათესვის დღეს".

ჩვენშიაც იციან ზოგიერთ ადგილს ამგვარი ჩვეულება, მაგრამ უფრო კანტი-კუნტად. ამიტომ არის, რომ ხშირად სოფელში, მეტადრე ქართლში, გაივლი ძსახლის გვერდით ეზოში ან კალოს პირას ერთ ხეს ვერა ნახავთ. რომ ჰკითხოთ, რატომ ერთი პანტის ხე მაინც არ გიდგიათო, გიპასუხებენ, პირუტყვი აფუჭებსო. თითქოს ძნელი იყოს გარს ორიოდე ეკლის ტოტის შეკვრა.

სკოლებს ეზოები აქვს, საყდარს გალავანი, აქ სკოლის შაგირდებს მასწავლებლის მეთაურობით შეუძლიანთ დარგონ და ააყვავონ მოშიშვლებული ადგილი. სოფლის გარედ შესაძლებელია სოფელს ცალკე ადგილი გააჩნდეს მაღლობზე ან ხევ-ღელეში. განა არ იქმნება, რომ მიუჩინოს ასამწვანებლად და ასაყვავებლად? ბევრჯელ მთის წვერზე საყდარს გალავანი ავლია, გარს პატარა ტყე აქვს, რომელსაც ხალხი ინახავს და არა სჭრის, საქონელს არ შეუშვებს—წაახდენსო. აი, ამისთანა ადგილს რაკი აკრძალულია ტყის წახდენა, სკოლის შაგირდებს შეუძლიანთ ცარიელი ადგილები გააშენონ, სადაც-კი ხალხის ფეხი არ ხვდება ხატობის დროს. შესაძლებელია სოფელს ციხე-გალავანი ჰქონდეს ახლოს მაღლობ გორაზე. ძნელი არ იქნება, რომ იქაც მოშენდეს ნერგეულობა და თუ პირუტყვის შესასვლელი გზა არის, შეჰკრან ქვა ღორღით ან ეკლით.

საზოგადოდ სოფლის მასწავლებელს შეუძლიან შეგირდებს გაზაფხულობით ერთი უქმე დღე ამაზე მოახმარებინოს: უცხო ქვეყნებში ეს დღე ყმაწვილებისათვის სასიმოვნო და სასიხარულო დღესასწაულია. დარგვის შემდეგ ამ თავის დანერგილზე თვალყური უჭირავთ, მოცლილ დროს მიჰხედვენ ხოლმე; ნერგის აყვავება, გაზრდა, ნაყოფის მოსხმა მეტად ახარებს დ აყვარებს შრომას. ეს ყოფილა მიზეზი, რომ ევროპის ქვეყნებში სახნავ-სათეს მიწას გარდა ჩვენებურ ხრიოკსა და დამწვარს მთა-კლდეს ვერა ნახავთ, ქალაქს შეჰხედავ თუ სოფელს, სულ აყვავებულია მშვენიერის მწვანით.

ხომ პატარა საქმეა ყმაწვილები ამას შეაჩვიო, მაგრამ ამ პატარა საქმესაც თავის წილად ნაყოფი გამოუტანია და ქვეყანა აუმწვანებია, აუყვავებია.

მაგონდება ნორვეგიის მწერალი და სახალხო მოღვაწე ბიერნსტერნე-ბიერნსონი. ყმაწვილობითვე დაჩვეული ყოფილა ჯიბეში ყვავილების თესლის ტარებას. სადაც კი გაივლიდა და შესაფერ ადგილს ჰნახავდა, დასთესდა. ამოდიოდა ყვავილები ცარიელ ადგილებში ხალხის გასახარად. მთელი მისი სიცოცხლე სწორედ ამ ყვავილების თესვას დაემსგავსაო. თავის ქვეყანაში ეს კაცი (ახლა 70 წლისაა) ყოველ გვარის სიკეთის მთქმელი, მწერალი, მოქანდაკე და გამკეთებელი შეიქმნა. ქვეყნისა დ ხალხის მოყვარე იყო და ხალხმაც შეიყვარა. იმისთანა საყვარელი

ფელეტონი

კრიტიკული შენიშვნები

(რუსი ბელეტრისტი ლეონიდ ანდრეევი)

I

როგორც მკითხველს მოეხსენება, ამ ჟამად რუსეთის მწერლობა და მკითხველი საზოგადოება ძალიან აალაპარაკა რუსის ახალგაზდა ბელეტრისტის ლეონიდ ანდრეევის ნაწერებმა. სულ სამი წელიწადია, რაც ანდრეევი სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა და ამ ცოტა ხნის განმავლობაში უკვე დიდი ყურადღება მიიქცია მკითხველ საზოგადოებისა. ამ ბოლოს დროს-კი, ლევ ტოლსტოის მეუღლის პროტესტის წყალობით, იშვიათად შეჰხვდებით ისეთ გაზეთს, რომელშიაც ანდრეევის შესახებ სჯა-ბაასი არ იყოს. უმეტეს შემთხვევაში აგინებენ ბელეტრისტს, უზნეო და პორნოგრაფიის მომხრე მწერალს უწოდებენ; ამბობენ, რომ იგი ცხოვრების სიდუხჭირეს გუნდრუკს უკმევს, რომ ხელოვნებაში ტალახი შეაქვს, ხელოვნებას ჰრყვნის და სხ.; ერთის სიტყვით, მათის აზრით, ანდრეევისათვის დიდ სიამოვნებას შეადგენს ადამიანთა გრყვნილებისა და გათახსირების ხატვა.

ანდრეევის მძაგებელნი უმეტეს შემთხვევაში ეხებიან პრინციპიალურ საკითხს: რა არის ხელოვნების საგანი, რა უნდა იყოს იმისი შინაარსი, აქვს თუ არა მწერალს ზნეობრივი უფლება შეეხოს ცხოვრების ცუდ მხარეებს, ცხოვრების ტალახს და სხ. ისინი ამტკიცებენ, რომ ხელოვნება არ უნდა ეხებოდეს ადამიანის ღირსების დამამცირებელ მოვლენებს, რომ ხელოვნების მსახური დიდ დანაშაულს სჩადის, როდესაც ჰხატავს ტალახს, რომელიც ნამდვილად იქნება კიდევაც არსებობდეს, როდესაც თავის ნაწერებით ადამიანს ისე ამცირებს, რომ მკითხველს ფრთებს უკვეცს და უფსკრულში აგდებს, როდესაც მკითხველს ზნეობრივად ჰრყვნის. რადგან ამ საკითხების, ე. ი. ხელოვნების მიზნის, საგნის გამორკვევა ქართველ მკითხველისათვისაც ძლიერ საყურადღებოა, ამიტომ საჭიროდ მივვაჩნია ჯერ ამ საკითხს შევეხოთ და შემდეგ გავარჩიოთ ანდრეევის მოთხრობები, რადგან ქართველმა მკითხველმაც უნდა იცოდეს, რაა ამ ახალგაზდა მწერლის დანაშაული, ქართველმა მკითხველმაც იცოდეს—რისთვის სდევნიან სიმართლის მთქმელ მწერალს.

დღეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ხელოვნება ცხოვრების ნამდვილი სარკეა და, მაშასადამე, ხელოვნების მსახური უნდა ჰხატავდეს ცხოვრების ავსა და კარგს, ცხოვრების სიდუხჭირეს და სიმშვენიერეს. იყო დრო, როდესაც ხელოვნების საგანს რჩეულ ადამიანთა გმირულ მოქმედებათა დასურათება შეადგენდა, როდესაც უბრალო ადამიანის გრძნობებს და მისწრაფებას სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში ადგილი არა ჰქონდა, ერთის სიტყვით, როდესაც ხელოვნება არისტოკრატიის გასართობს წარმოადგენდა. მაგრამ, როგორც მკითხველმა უკვე იცის, ეს დრო დიდი ხანია გაჰქრა. დიდი ხანია, რაც ხელოვნებასა და სალიტერატურო კრიტიკაში გამეფდა რეალურ მიმართულების ის დედა-აზრი, რომ ხელოვნების ობიექტი მთელი საზოგადოებაა და არა ერთი მცირე ნაწილი, რომ ხელოვნება ერთნაირად უნდა უკვირდებოდეს როგორც გათახსირებისა და გადაგვარების გზაზე დამდგარს ბურჟუაზიის უაზრო და უშინაარსო ყოფა-ცხოვრებას, ისე მონად-ქცეულ მშრომელ ხალხის ჭირ-ვარამს. ამ პრინციპის თანახმად ხელოვნების საგანს უნდა შეადგენდეს ცხოვრების ცუდ და კარგ მხარეების დახატვა, რადგან უბრალო ადამიანი, ე. ი. კაცობრიობის უმრავლესობა, ორივეს ერთნაირად ეტანება, რადგან სოციალურ ცხოვრებაში ბოროტებასაც და კარგ მოვლენასაც ადგილი აქვს. ხელოვნება, რომლის უმთავრესი საგანი საზოგადოებრივ ცხოვრების განმარტებაა, ცხოვრების ორსავე მხარეს უნდა ეხებოდეს. ასეც არის.

დღეს სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში გამეფებულია ეგრედ წოდებული რეალიზმი, რომლის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს ნამდვილ ცხოვრების დასურათება და ახსნა-განმარტება. განა შეიძლება, რომ ნიჭიერი მხატვარი დღევანდელ ცხოვრების სიდუხჭირეს არ შეეხოს? განა წარმოსადგენია, რომ ნიჭიერი მწერალი არ ჰხედავდეს თანამედროვე წეს-წყობილების უსამართლობას და უვარგისობას, თანამედროვე საზოგადოების გახრწნილებას? ეს რომ ასე იყოს, მაშინ ხელოვნება თავის აზრს ვერ მიაღწევდა. ყოველ სახელოვნო ნაწარმოების ავტორის საბოლოო საგანს შეადგენს ის, რომ ადამიანზე ზნეობრივი გავლენა იქონიოს, ე. ი. ასწავლოს მკითხველ საზოგადოებას, როგორ უნდა ცხოვრება, რა ნაირი წყობილებაა პიროვნებისა და საზოგადოებისათვის უფრო სასარგებლო და რანაირი გინწყობილება უნდა არსებობდეს ადამიანთა შორის. გადაიკითხავს თუ არა მკითხველი სახელოვნო ნაწარმოებს, ასეთი დასკვნა უნდა გამოიყვანოს: ეს ცუდია, ეს არ ვარგა, ამ უსამართლობის წინაამდეგ ბრძოლაა საჭირო და სხვა ამ გვარი. რასაკვირველია, სახელოვნო ნაწარმოები ესტეტიურადაც მოქმედებს მკითხველზე, მაგრამ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურის ის დარგი, რომელიც ეხება მხოლოდ ადამიანთა სოციალურ განწყობილებას, რომელიც გვიხატავს აგრეთვე ტანჯულ პიროვნების კვნესასა და ვაებას,—ასეთი ლიტერატურა უფრო ზნეობრივად მოქმედებს ადამიანზე, ვიდრე ესტეტიურად. ცხადია, თუ რომელიმე სახელოვნო ნაწარმოები ნამდვილ მხატვრისაგანაა დაწერილი, მაშინ ესტეტიური და ზნეობრივი სიამოვნება შეერთდება, მაშინ მკითხველი უფრო ადვილად გამოარკვევს ავტორის უმთავრეს იდეას.

წარმოიდგინეთ, ისეთი ლექსებიც კი, რომლებშიაც, მაგალითად, აწერილია მღელვარე ზღვა, მოქმედებს თქვენზე უფრო მო-

მწერალი და მოღვაწე ევროპაში ბევრი არ მოიპოვება. ის არის პარლამენტსა და ხალხში მშვენიერი ორატორი, პუბლიცისტი და დრამატურგი მწერლობაში.

რა კარგი ყოფილა ყმაწვილობიდანვე ადამიანის შეჩვევა თუნდა ამისთანა ადვილის საქმისა, როგორც ყვავილების თესვა და ნერგების ჩაყრაა, თურმე მას შეუძლიან ქვეყნის აყვავებაც და მის მომქმედ ადამიანის ამაღლებაც.

აი გაზაფხულია, თესვის და დანერგვის დროა, შემოიღეთ ჩვენშიაც „დარგვის" დღესასწაული.

საზღვარ-გარედ

ამერიკა. მკითხველს ეხსომება ის დიდი დუელი, რომელიც მოხდა ნახშირის მადნების მეპატრონეთა და მადნის მუშებს შორის. ექვსის თვის უმაგალითო ბრძოლის შემდეგ დაინიშნა სამედიატორო კომისია, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს მუშებისა და კაპიტალისტების დავა.

კომისიის სხდომები დაიწყო გასულ წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში; როცა ორივე მხრის წარმომადგენლები მოვიდნენ, კომისიის წევრები წავიდნენ ნახშირის მადნების რაიონში ადგილობრივ საქმის გამოსაკვლევად. ამ გამოკვლევას რამდენიმე დღე მოანდომეს; იყვნენ მაღაროებშიაც, მაგრამ კომისიის თავმჯდომარემ ორი საათი ძლივს გასძლო შიგა—ზევით ამიყვანეთ, მეტი აღარ შემიძლიაო.

არ გასულა რამდენიმე საათი კომისიის ზევით ამოსვლის შემდეგ, რომ მაღარო ჩამონგრეულა და ერთი მუშაც მოუკლავს. მოწმეების და სპეციალისტების გამოკითხვას მთელი ოთხი თვე მოუნდნენ; ჰკითხეს ექვსასამდე კაცს; სტენოგრაფიული ანგარიში ცხრა ათას გვერდს შეადგენს; გარდა ამისა კომისიას მოსვლია რამდენიმე ტომი სტატისტიკურ ცნობებისა მუშების ქირის შესახებ. მუშებისა და კაპიტალისტების წარმომადგენელთა კამათმა მთელი კვირა გასტანა. უკანასკნელად ულაპარაკნია მუშების რწმუნებულს ადვოკატ დეროუს და მის სიტყვას, რომელიც სრული ორი დღე გაგრძელდა, ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია კომისიის წევრებსა და საზოგადოებაზე. ეხლა კომისია ვაშინგტონშია და დადგენილება უნდა მოახდინოს...

ახალი ამბავი

✦ როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ გადაიდოს საგრობო თანხიდან საჭირო ფული ქუთაისიდან სვანეთამდე გზის გასაყვანად. იმედი აქვთ, რომ მთავარ-მართებელი შეიწყნარებს ამ თხოვნას.

✦ **ტფილისის საქალაქო ინსპექტორი**, ბ-ნი ხელიმსკი, როგორც გავიგეთ, ეკატერინოსლავის გუბერნიაში გადაჰყავთ. ტფილისში იმის ადგილას გადმოჰყავთ ბ-ნი პისარევსკი, რომელიც ქუთაისში საქალაქო ინსპექტორის თანაშემწედ არის.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ და საფინანსო კომისიამ უკვე განიხილეს მიმდინარე წლის **ხარჯ-აღრიცხვის** ერთი ნაწილი. სხვათა შორის წელს საჭიროა: **150,910** მანეთი მთავრობის დაწესებულებათა შესანახად; **157,456** მ.—ქალაქის დაწესებულებათა შესანახად; **131,212** მან.—ჯარის სადგომებისათვის; პოლიციის შესანახად—**107,295** მ. (ზარზანდილზე **4** ათას მანეთით მეტი); **23,653** მან.—ცეცხლის მქრობელ რაზმის შესანახად და სხვა.

✦ ტფილისელ **ასოთ-ამწყობებს** მეტად კარგი აზრი მოსვლიათ. როგორც ადგილობრივი გაზეთები გადმოგვცემენ, იმათ განუზრახავთ თურმე საამხანაგო სტამბის დაარსება.

✦ **საბურთალოს** ზოგიერთ მცხოვრებთ ამას წინად, როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, სთხოვეს ქალაქის გამგეობას, ჩვენი უბანი ტფილისს მიაწერეთო. გამგეობამ განიხილა ეს განცხადება და დაადგინა: მიანდოს გამგეობის წევრს თავ. ჩერქეზიშვილს მიწის მზომელსა და დამფასებელთან ერთად დაათვალიეროს საბურთალოს უძრავი ქონება, გაიგოს რა შემოსავალი ექმნება ქალაქს და დაახლოვებით გამოარკვიოს ის ხარჯი, რაც ქალაქს მოუვა საბურთალოს მოწყობა-დამშვენებაზე.

✦ **5** მარტს სამხედრო სასამართლომ დაამთავრა ბაქოში **კონტროლერის გედევანიშვილისა და კონდუქტორის სტურუას მოკვლის** საქმის განხილვა (იხ. „ცნ. ფურ". №-2089). სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი კოლომინი, ჩერნიკოვი და ლიუბიმოვი. პირველ ორს სასამართლომ გადაუწყვიტა ჩამოხრჩობა, ხოლო ლიუბიმოვს—**20** წლით კატორღაში გაგზავნა. ამასთან სასამართლომ დაადგინა, განაჩენი წარუდგინოს კავკასიის მთავარ-მართებელს. განაჩენის კითხვის დროს სტიროდნენ თურმე ბრალდებულნი და იმათი ნათესავნი. ნაფიცმა ვექილმა სმირნოვმა მიჰმართა იმათ სიტყვით და უთხრა, ტირილი კი არა, სიხარული გმართებთ, რადგან განაჩენი მოწყალეა: მთავარ-მართებელი ჩამოხრჩობას უთუოდ სხვა სასჯელით შეუცვლის დამნაშავეთაო. ამ დროს კოლომინისა და ჩერნიკოვის ნათესავებს პასუხის ნაცვლად დაუძახნიათ „ქრისტე აღსდგა".

✦ **ხვალ, 9 მარტს, მაჰმადიანთა ახალი წელიწადია,** ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაული.

✦ ქალაქის სასანიტარო საბჭოს განუზრახავს გამოიკვლიოს ქალაქის ის ადგილები, სადაც უფრო ვრცელდება და მძვინვარებს **გადამდები სენი.** ამ საქმისთვის საბჭომ მცირე კომისია აარჩია.

✦ **7** მარტს ვადა უნდა გასულიყო იმ საკონცესიო პირობას, რომელიც ინჟ. რომბიმ დასდო ქალაქთან მთა-წმინდის გორაზე **ფუნიკულერის გასაყვანად.** ინჟ. რომბის რწმუნებულმა სთხოვა ქალაქის გამგეობას გადასდოს ვადა ფუნიკულერის მოქმედების დაწყებისა. რწმუნებული ამასთან ასახელებს იმ მიზეზებსაც, რა მიზეზებითაც მუშაობის დაწყება დაგვიანდა. მინისტრთა კომიტეტმა დაავგიანა თურმე ფუნიკულერის გასაყვანად შემდგარ სააქციონერო საზოგადოების წესდების დამტკიცება. ეხლა ორ თუ სამ თვეზე შესდგება საზოგადოება და მუშაობაც დაიწყებაო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ინჟ. რომბის რწმუნებულის განცხადება საბჭოს გადასცეს განსახილველად.

✦ ხმოსნმა ფლორინსკიმ ლაპარაკი აღძრა მოისპოს ის გადასახადი, რომელიც ძველ ტანისამოსის ვაჭრებს ერთმევათ ტანისამოსის დეზინფექციისათვის, რადგან, ამ გადასახადის გამო, ვაჭარნი უდეზინფექციოდ ჩუმად ჰყიდიან ტანისამოსსაო. სასანიტარო საბჭომაც სასურველად დაინახა გადასახადის მოსპობა. მხოლოდ, რადგან ფული ეხარჯება დეზინფექციის დროს, მცირე კომისიას მიანდო ხარჯის გამორკვევა.

✦ **10** მარტის კრებაზე **ქალაქის საბჭომ** უნდა აარჩიოს საავადმყოფო დარბაზის გამგე და იმისი თანაშემწე და ქალაქის ლომბარდის გამგის კანდიდატი. ამავე კრებაზე საბჭომ უნდა განიხილოს მოხსენება საჰიდრავლიკო სადგურის გამართვის შესახებ და შუამდგომლობა ინჟ. რომბისა ფუნიკულერის გასამართავად ვადის განგრძობის შესახებ.

✦ **9** მარტს მოხდება რკინის გზაზე არსებულ **მომხმარებელ საზოგადოების** წევრთა საგანგებო კრება.

✦ ქალაქის სასანიტარო საბჭომ შუამდგომლობა აღძრა, ქალაქის საავადმყოფოებში **თითო მეტი ფერშალი დაინიშნოს,** რადგან ამ ბოლო დროს ავადმყოფობა გამლიერდა და ფერშლები ვეღარ ასდიან. ერთი მეტი ფერშალი სადეზინფექციო სადგურშიაც უნდა დაინიშნოს.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს, ინჟ. ივანოვსკის, მომავალ კვირას მოელიან პეტერბურგიდან.

✦ **5** მარტამდე ტფილისის ქალაქის ახალმა საბჭომ სულ **19** კომისიის წევრები აარჩია.

✦ **განჯაში გარდაიცვალა** განჯის უკანასკნელ ხანის შვილის-შვილი აბულფატ-ხან-ისმაილ-ფაშა-ოღლი ზიათხანოვი. განსვენებულს ცოლად სპარსეთის დღევანდელ შაჰის ბიძა-შვილი ჰყავდა.

✦ გუდოვიჩის ქუჩაზე პოლკოვნიკ ალექსანდრე სურგუნოვს გუშინ წინ ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა მოჰპარა ფულად **80** მან. და **2** ოქროს საათი, **230** მან. ღირებული.

✦ ამავე დღეს ბარონ შელინგს თავისმავე მოსამსახურე ლაზარენკომ მოჰპარა **40** მანეთად ღირებული ძველი ვერცხლის ფული. ლაზარენკო დაპატიმრეს.

✦ ტფილისის ქალაქის გადამდებ სენით საავადმყოფოებში **24** თებერვლიდან **3** მარტამდე ყოფილა სულ **48** ავადმყოფი.

რუსეთის ქრონიკა

✦ პერმის გუბერნიის ქალაქ ვიის ორ კლასიან სასწავლებელში დაუარსებიათ სამკითხველო, სახელად „ჩემი ორი გროში". ხსენებულ სამკითხველოს თანხა თითო-ოროლა გროშობითაა თურმე შემდგარი. ჯერ კიდევ **1900** წელს ხსენებულ სასწავლებლის ერთ მასწავლებელს, რომელსაც უსახსრობის გამო არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მოსწავლეთა სულიერი მოთხოვნილება, მიუმართავს თვით მოსწავლეთათვის, შეეგროვებინათ როგორმე ცოტაოდენი ფული რომელიმე საყმაწვილო ჟურნალის გამოსაწერად. მოსწავლეებმაც სიხარულით მიიღეს მასწავლებლის წინადადება, თითო-ოროლა გროშობით შეაგროვეს ორიოდ მანეთი, ზოგიც მასწავლებელმა დაუმატა და გამოუწერიათ ჟურნალი „ზადუშევნოე სლოვო". მოსწავლენი დიდის ხალისით დაეწაფნენ ჟურნალს და, როცა მოსაზრებელი იყო, ჟურნალის ნომრები შინაც მიჰქონდათ და უკითხავდნენ მშობლებს.

ერთის წლის შემდეგ იმდენი მკითხველი გამოუჩნდა თურმე ჟურნალს, რომ ერთი ჟურნალი საკმაო აღარ იყო. **150** მოსწავლემ სურვილი გამოაცხადა, კვირაში ორ-ორ გროშს ვუქადნენ შემოვიტანთო, ოღონდ სხვა ჟურნალებიც დაგვიწერეთო. წვრილმანი—ეუბნებოდნენ მოსწავლენი მასწავლებელს, მშობლები ხშირად გვაძლევენ ხოლმე თითო-ოროლა გროშს ტკბილეულობისათვის; გვირჩევნიან, ეს ფული კითხვის საქმეს მოვახმაროთო. ამგვარ გულითადს თხოვნას მასწავლებელი სიამოვნებით მიეგება, მიჰმართა მთავრობას და სასწავლებელთან წიგნთ-საცავის გამართვის ნება გამოიტანა.

მასწავლებლის დაუღალავმა შრომა-მეცადინეობამ და შესაფერ ჟურნალ-წიგნაკების შეძენამ

რალურად. კაცში ამგვარ შინაარსის ლექსები ან ესკიზები აღძრავს ასეთ ასსოციაციას: ზღვა ჰღელავს, ზღვა იბრძვის, ზღვის ტალღები არავის არ შეუშინდებიან, ზღვა მუდამ მღელვარებს, ზღვა დაუღალავი მებრძოლია; თქვენ შეადარებთ თქვენ თავს ზღვას და შეამჩნევთ, რომ არ ჰყოფილხართ იმასავით მედგარი და შეურყეველი მებრძოლი; დაგებადებათ სურვილი ბრძოლისა უსამართლობების და ძალმომრეობის წინააღმდეგ, გამხნევდებით, შეგძაგდებიანთ კომპრომისების მქადაგებელნი და სხ. ასეთი გავლენა უდრის ზნეობრივ მოქმედებას. მართალია, ასეთი ასსოციაცია ყველას არ აღეძვრება, რადგან, როგორც თანამედროვე ესტეტიკის თეორია ამტკიცებს, მუსიკა და ბუნების ცქერა თუმცა ესტეტიურ სიამოვნებას გვაძლევს, მაგრამ მათ მიერ აღძრული ასსოციაციები სხვა და სხვანაირია სუბიექტიურის სულის ვითარების მიხედვით. მაგრამ კაცობრიობის შეგნებულ მებრძოლ ნაწილს, რომლის რიცხვი, სამწუხაროდ, არც ისე დიდია, როგორც ბევრსა ჰგონია, უთუოდ ასეთ ასსოციაციას აღუძრავს. მართალია ისიც, რომ, როგორც ამტკიცებენ კანტი და სპენსერი, ამ შემთხვევაში ნამდვილი ესტეტიური სიამოვნება ნაკლებია, რადგან, კანტ-სპენსერის ესტეტიურ თეორიით, ადამიანი მხოლოდ მაშინ ჰგრძნობს ესტეტიურ სიამოვნებას, როდესაც იგი დაინტერესებული არ არის, როდესაც სრულიად ობიექტიურად შესცქერის ბუნებას ან უსმენს მომღერალს. მაშინ-კი, როდესაც ვგრძნობთ ზნეობრივ სიამოვნებას, როდესაც მუსიკა ან პეიზაჟი ჩვენზე ზნეობრივადაც მოქმედებს და გვაღელვებს, მაშინ წმინდა ესტეტიური სიამოვნება ნაკლებია, თუმცა სარგებლობის მხრივ შედარებაც-კი შეუძლებელია*).

ერთის სიტყვით, დღეს უფრო ვეტანებით ისეთ ნაწარმოებს, რომელიც სასურველ ზნეობრივ გავლენას იქონიებს. ჩვენთვის გაცილებით უფრო სასარგებლოა სახელოვნო ნაწარმოების მორალური ტენდენცია, რადგან დღეს საზოგადოებრივი და, მაშასადამე, პიროვნების კერძო ცხოვრება ისე დაეცა, ეკონომიური და ზნეობრივი ექსპლოატაცია ისე განვითარდა, რომ ჩვენ უფრო ვაფასებთ ზნეობრივ იდეას, ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია ნამდვილ ადამიანურ განწყობილებათა ცოდნა, თანამედროვე საზოგადოების გახრწნილობის დაგმობა. ყველა ეს შეუძლიან ნიჭიერს მხატვარს. როგორცა ვსთქვით, ეს ადვილი ასახსნელია, რადგან თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ისე ილახება პიროვნება, ისე გათახსირდა კაცობრიობის დიდი უმრავლესობა, დაეცა ზნეობა, განვითარდა ადამიანთა შორის ქიშპობა, რომ დღევანდელ მკითხველთა უმრავლესობისათვის ნამდვილ ცხოვრების ანალიზი, ნამდვილ ცხოვრების ჭირ-ვარამისა და გარყვნილობის გამოაშკარავება ბევრად უფრო საჭიროა, ვიდრე ესტეტიურ გრძნობათა დაკმაყოფილება. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ესა თუ ის სახელოვნო ნაწარმოები, რომლის ფორმაც შეიძლება სუსტია, მაგრამ შინაარსი-კი იზიდავს მკითხველს, უფრო ვრცელდება საზოგადოებაში, ვიდრე წმინდა ესტეტიური ნაწარმოები, როგორც, მაგალითად, ჯერომ-ჯერომის კომედიები. მოვა დრო, როდესაც ხელოვნება ესტეტიურ გრძნობის დაკმაყოფილებასაც დიდ ყურადღებას მიაქცევს. ეს დრო იქნება კოლლექტიურ წეს-წყობილების გამეფების შემდეგ, როდესაც მოისპობა ყოველგვარი ექსპლოატაცია, როდესაც პიროვნებას შეძლება მიეცემა თავის ინდივიდუალურ თვისებათა გამოჩენისა, როდესაც ადამიანის ცხოვრებაში გრძნობანი ისეთ როლს ითამაშებენ, როგორსაც დღეს თამაშობს ნება. მოკლედ რომ ვსთქვათ, ხელოვნების უმთავრეს საგანს შეადგენს ის, რომ იმოქმედოს საზოგადოებაზე ზნეობრივად, დაგვანახვოს თანამედროვე განწყობილებათა უვარგისობა და უსამართლობა, დაგვანახვოს, რაგვარი სისაძაგლე ხდება დღეს, როგორ იტანჯება პიროვნება. მხატვარმა უნდა დაგვისურათოს აგრეთვე ადამიანის ბრძოლა ცხოვრების უკუღმართობის წინააღმდეგ, იმისი უანგარო ლტოლვილება უკეთეს მომავლისადმი. ერთის სიტყვით, უნდა დაგვისურათოს ცხოვრების კარგი მხარეც, რომელიცაა ადამიანის ბრძოლა ძალმომრეობის და თვითნებობის წინააღმდეგ, ბრძოლა პიროვნების განთავისუფლებისათვის. რამდენადაც მხატვარი გვისურათებს ახალ მომავალს, რამდენადაც გვაცნობს ადამიანის იდეალურ მისწრაფებას, მომავალს საზოგადოებრივ წყობილებას, იმდენად იგი იდეალისტია და, მაშასადამე, ფრიად საჭირო მკითხველთათვის, რადგან ადამიანთა იდეალურ მხარეებისა და მომავლის დასურათება გვამხნევებს, გვამაღლებს ზნეობრივად.

ცხადია, ასეთი იდეალიზმი ხელოვნებაში აუცილებლად საჭიროა. ადამიანს ჰსურს გაგება არა მარტო სინამდვილისა, არამედ მომავლისაც; იმას სწადიან იცოდეს საზოგადოების არა მარტო დღევანდელი მდგომარეობა, არამედ მომავალიც. იდეალიზმი და რეალიზმი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, პირიქით, ისინი ერთმანეთს ავსებენ. ნამდვილ ცხოვრებაში საუკეთესო ადამიანისათვის საჭიროა იდეალი, ამიტომ ხელოვნებაც უნდა აკმაყოფილებდეს ამ მოთხოვნილებას. ხელოვნება გვიხატავს არა მარტო იმას, რაც არის, არამედ იმასაც, რაც უნდა იყოს, რაც ჩვენთვის სანატრელი და სასურველია. როგორც სამართლიანად შენიშნავს გიუო, ხელოვნებაში იდეალიზმს იმდენადა აქვს ფასი, რამდენადაც იმისი, ე. ი. იდეალის, განხორციელება ცხოვრებაში შესაძლებელია და რომლის განხორციელებაც ჩვენ გვრწამს. ერთის სიტყვით, ხელოვნებაში იდეალიზმი აუცილებლად საჭიროა, რადგან მიუსსეს არ იყოს, malgré naus, vers le ciel il faut lever les yeux. მარტო სინამდვილის დასურათება ადამიანს არ აკმაყოფილებს, ის ზეცისაკენაც იყურება, იქიდანაც ელის შველას. ის ჰხედავს თანამედროვე საზოგადოების ზნეობრივ გახრწნილებას, ჰხედავს, რომ დღეს დიდ უმრავლესობას ფული გაუხდია სათაყვანებელ საგნად, რომ ადამიანთა შორის საშინელი კონკურენცია ჰმეფობს, ჰხედავს ყველა ამას და ჰსურს წინააღმდეგობა გაუწიოს გახრწნილებას, იმას კიდევ შერჩენია ლტოლვილება უკეთეს მომავლისადმი, იმისთვის იდეალიზმი აუცილებლად საჭიროა.

ამნაირად, ვგონებ, გამოვარკვიეთ, რომ

*) ამ საკითხს, ე. ი. თანამედროვე ესტეტიურ თეორიას, ცალკე წერილში განვიხილავთ.

ავტ.

ისე წასახლის მოსწავლენი, რომ გულდა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა; იმათ მიემხრო ოცზედ მეტი წერა-კითხვის მცოდნე მცხოვრები და გაზარდა საქმე. დღეს წიგნთ-საცავში, მრავალნაირ ჟურნალების გარდა, ასამდე საყმაწვილო და სახალხო წიგნი მოიპოვება. ამ სასარგებლო საქმეს მალე მიმბაძველნი გამოუჩნდნენ, ვინც ოთხს სხვა სასწავლებლებშიაც დაიარსეს აღწერილისთანა წიგნთ-საცავები. სასურველია, ჩვენშიაც მიჰბაძონ ამ აზრის განხორციელებას.

◆ პირველ დაწყებით სკოლების დასაარსებლად და შესანახად ამა მიმდინარე წლიდან ყოველ წლის გადადებული იქნება დამატებითი თანხა ერთი მილიონი მანეთი.

◆ ამ ცოტა ხანში შეუდგება მუშაობას ახლად დაარსებული განსაკუთრებული კომისია. კომისიამ უნდა შეიმუშაოს საშუალებანი ფრინველის მოვლა-მოშენების გასაძლიერებლად.

◆ 27 თებერვლიდან შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით უკვე შეუდგა მუშაობას ის კომისია, რომელსაც საგუბერნიო გამგეობათა რეფორმების საქმე აქვს მინდობილი. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მინისტრის ამხანაგნი დურნოვო, გენ. ლეიტ. ფონ-ვალი და ზინოვიევი, გუბერნატორები: ხარკოვისა—თავ. ობოლენსკი, პეტერბურგისა—გრაფი ტოლი, სამარისა—ბრიანჩანინოვი და სხვანი.

◆ საქმე იმ უწესოებათა შესახებ, რომელიც მოხდა კავკასიის რკინის გზის რიხორეთის სადგურზე, დანიშნული იყო განსახილველად 5 მარტისათვის. პასუხის გებაში მიცემული იყო 15 კაცი.

საგეოგრაფიო საზოგადოებაში

7 მარტს საგეოგრაფიო საზოგადოებაში სამთო ინჟინერმა შოსტაკმა წაიკითხა საინტერესო მოხსენება რაჭისა და ლეჩხუმ-სვანეთში მოგზაურობის შესახებ. ამ სადამოს კრებას თავმჯდომარეობდა მთავარ-მართებლის თანაშემწე გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზე. შოსტაკს მოგზაურობის დროს აზრადა ჰქონდა გამოეკვლია ის ადგილები, სადაც ჰფიქრობდნენ, რომ ოქრო უნდა იყოსო.

შოსტაკი თავის მოხსენების თავშივე იხსენიებს ქუთაისის მახლობლად მდებარე იმ ადგილებს, საიდანაც ეს ორი წლიწადია საზღვარ-გარედ გააქვთ ბარიტი. ამ თეთრ ქვას საზღვარ-გარედ უმთავრესად ხმარობენ ყანების დასაპატივებლად და აგრეთვე ფილოქსერასთან საბრძოლველად. შემდეგ მომხსენებელი რაჭაში ასულა. ონში გახშირებულ მიწის ძვრის შესახებ შოსტაკი სწერს: ტფილისის სათფიზიკო ობსერვატორიის გამგის ბ-ნ გლასეკის განმარტებით და აგრეთვე ონის გარშემო მდებარე სოფლების მცხოვრებთა განმარტებით, მიწას-ძვრა ონიდან სამის ვერსის მანძილს იქით არავის უგრძვნია. ამ მხრით საინტერესოა გამოკვლევა მიწის ძვრის მიზეზებისა, რადგან, ზოგიერთ მეცნიერთა აზრით, მიწისძვრა დედამიწის სიღრმიდან არ უნდა იყოს წარმომდგარი. მომხსენებლის აზრით, შესაძლებელია მიწის ქვეშ კლდე ან მიწა ჩამოინგრა და ამის გამო მოხდა ონში მიწის ძვრა. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ბ-ნი შოსტაკი ამბობს, რომ ონიდან 12 ვერსის მანძილზე მდინარის კალაპოტი შეირყა, წყალი დაიკარგა და მხოლოდ ორის ვერსის იქით ამოჰხეთქა ისევო. შემდეგ მომხსენებელს აწერილი აქვს სოფლები, განსაკუთრებით უწერა, სადაც გზა როგორც ონიდან, ისე ოსეთიდან მომავალი მეტად ცუდ მდგომარეობაშია. ამ გზის გაკეთება ძალიან საჭიროა, რადგან იმით რაჭველებს ბევრი შემოაქვთ. სოფ. გლოლასა, ჩასავალსა და სხვა ადგილებში დიდ-ძალი ტყვიისა და სპილენძის მადანი უნდა იყოს, ასე რომ შესაძლებელია იქ მრეწველობა გაზარდეს.

ივლისში შოსტაკი სვანეთს გადასულა. აწერილი აქვს სვანთა მდგომარეობა, ადგილის მდებარეობა, ბუნება, ხალხის ზნე ჩვეულება. სხვათა შორის, სწერს, რომ სვანეთში დაცულია დიდძალი ძვირფასი სამკაული ეკლესიებისა და სხვა სიმდიდრე, ქართველ მეფეთა მიერ შეწირულით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეხლა ბევრი ძვირფასი განძი იკარგება.

ეკლესიებში შენახულ ძვირფას ნივთებსა და ხატებს სვანები ძალიან უფრთხილდებიან. ხშირად სვანები უკმაყოფილებას აცხადებენ გამომკვლევთ ნივთები მიაქვთ და აღარ აბრუნებენო. გრაფინია უვაროვასას წაუღია ძველი ხატი და სახარება. სვანების აზრით, უვაროვის მიერ დაბრუნებული ხატი ის არ არის, რომელიც წაიღო: სხვა ხატი გაუკეთებიათ და გამოუგზავნიათო.

რაც შეეხება იმას, ოქრო არის თუ არა სვანეთში, მოხსენების დასასრულ შემდეგი აზრი გამოსთქვა ბ-ნმა შოსტაკმა: 1) მდინარე ინგურსა და იმის ტოტებში ოქრო ძალიან ნაკლებად მოიპოვება; შეიძლება მდინარის ძირში მოიპოვებოდეს ფხვნილი ოქრო, მაგრამ იმის დამუშავება თითქმის შეუძლებელია და სამრეწველო მნიშვნელობაც არ ექმნება; 2) სვანეთში ბლომად არის თოვგმარილა (ერთნაირი ლითონია; სადაც ეს ლითონია, იქ ძალიან ხშირად ოქროც არის ხოლმე), მაგრამ ოქრო არ ურევია; 3) არის სვანეთში გაჟღენთილი მადნები, რომელთაც ტყვიისა და უფითლე სურინჯის ფერი დაჰკრავთ; ეს მადნები ბლომად შეიცავენ ოქროს; შეიძლება ამ მადნებიდან დამუშავებულ იქმნას ტყვია, რომელიც ჩვენში ნაკლებად არის, და სხვა მხრიდან შემოაქვთ 2 მილიონ ფუთამდე, თითო ფუთი 2 მანეთად და ათ შაურად; მცირე ოქრო შეიძლება შემდეგ ამ ტყვიიდანაც იქმნას დამუშავებული; 4) მადნების დამუშავება სვანეთში შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საურმე გზა მაინც გაიმართება ინგურის ხეობაში ჯვარის სადგურიდან; 5) სვანეთიდან სამადნო ნაწარმოებისა და ხე-ტყის მეტი არაფრის გამოტანა არ შეიძლება, მაგრამ ესეც საკმაოა: იგი დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც სახელმწიფოს, ისე საწყალ სვანებს, რომელნიც უკვე დაადგნენ გადაგვარების გზას და რომელნიც კარ-ჩაკეტილობაში თავს მხოლოდ არყის სმით ირთობენ; არყის სმას ბავშვები ოთხის წლიდანვე იწყებენ: 6) თუ მთავრობას საჭიროდ მიაჩნია შავის-ზღვის ცივ-ცხელებიან და ჭაობიან ნაპირა ადგილებში რამდენიმე მილიონის დახარჯვა და რკინის გზის გაყვანა, რადა დაამშვეს სვანებმა, რომელნიც ყოველსავე გადასახადს უხდიან, რომელნიც თავიანთ ნებით შეუერთდნენ რუსეთს და ეხლაც ერთგულნი არიან, რა დაამშვეს სვანებმა, რომ იმათთვის საურმე გზის გასაყვანად რამდენიმე ათი ათასი მანეთი ენანებათ!

მოხსენების კითხვის დროს ბ-ნმა შოსტაკმა ცოცხალის სურათებით აჩვენა დამსწრეთ სვანეთისა, ლეჩხუმისა და რაჭის საინტერესო ადგილები.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. „მტარვალი“ იმ პატრიოტულ პიესათაგანია, რომელთა გაკეთება ძალიან ეხერხებათ ზოგიერთ „დრამატურგებს“. ბ. ლაზარიაშვილის პიესას შეიძლება პირველი ადგილი დავუთმოთ ქართულ ისტორიულ პატრიოტულ პიესებში. რა თვისებით გინდათ, რომ არ იყვნენ შემკულნი ქართველები „მტარვალში“: ქართველებმა ტყუილის ლაპარაკი არ იციან, ქართველი ქართველის წინააღმდეგ არასოდეს არ წავა, ქართველი არ უღალატებს თავის სამშობლოს, არ დაჰგმობს თავის ენას, ჯილდოსა და ხარისხისათვის არ გაჰყიდის თავის პატიოსნებას, ქართველი არასოდეს არ დაეცემა სულით, ქართველები გაგიჟებულნი არიან თავის ქვეყნისადმი სიყვარულით, ქართველები წარმოუდგენლად მხნე და მამაცნი არიან, წარმოუდგენლათ გულკეთილნი და თავდადებულნი მოყვასთათვის: ქართველი მშიერი რომაა, მაშინაც სხვის შიმშილსა და გაჭირვებაზე ჰფიქრობს!

ასეთი ზე-ადამიანობა ქართველებისა კარგად იციან თვით ოსმალოებმაც კი, რომელნიც მუდამ ქებით იხსენიებენ ქართველებს!

ჩვენც მოგვწონს ასეთი პიესები! ჩვენ ტაშის კვრით ვაჯილდოებთ სცენის ქართველ გმირებს და ვაჯერებთ ჩვენს თავს, რომ მართლა ზე-ადამიანები და გმირები ვიყავით, გმირები, შესანიშნავი პატრიოტები ვართ დღესაც და თეატრიდან რომ გამოვდივართ, საშინელს მედიდურ სახის გამომეტყველებას ვღებულობთ, რომელიც არ ჰქონია თვით ნაპოლეონსაც იმპერატორის ხარისხის დაგვირგვინების შემდეგ! ნამდვილად წარმოვიდგენთ, რომ დიდებული ერი ვართ, და ისეც მუნჯნი, დაცემულნი, გათახსირებულნი, გალატაკებულნი, მოკლებულნი ყოველგვარ პატივისცემას, დამონებულნი ისე, რომ უარესად დამონება შეუძლებელია და ყველაფრის ამის არ შემგნებელნი, კიდევ უფრო არაფერს ვხედავთ, არაფერს ვაკეთებთ, არას ვამბობთ, კიდევ უფრო ღრმად ვიძინებთ, ისე ღრმად, რომ ეს ჩვენი ძილი ლამის არის დღეს თუ ხვალ სიკვდილად გადაიქცეს!

ის-ღა გვეკვირვება ჩვენ დღეს, რომ „მტარვალისთანა“ მახინჯმა პიესებმა კიდევ მეტად დაგვაბრმავოს, თვალები აგვიხვიოს! ჩვენმა თეატრმა, რომელიც ჩვენს გამოფხიზლებას უნდა ემსახურებოდეს, კიდევ უფრო დაგვაძინოს თავის ცრუ ნანინათი!

„მტარვალი“ ავადმყოფი ფანტაზიის ნაყოფია, იგი ჰრყვნის მხოლოდ საზოგადოებას და დრო არის ჩვენმა სცენამ განდევნოს ერთხელ და სამუდამოდ ეს საბალაგანო პიესა! ჩვენს წარსულში იყო, რაც შეიძლება გვიყვარდეს, ვაფასებდეთ, მაგრამ იქ იყო ბევრი საზიზღარი რამ, რაც უნდა დაჰგმოთ აშკარად და არა ხელი დავაფაროთ. გვეყოფა ამდენი თავის მოტყუილება, ამდენი ცრუ-პატრიოტობა, ამდენი უზომოთ საკუთარის თავის გაზვიადება! დროა, მიმოვიხედოთ გარშემო და დავინახოთ, როგორი არის ჩვენი ცხოვრება. ჩვენ გვესაჭიროება დღეს საკუთარის თავის სასტიკი კრიტიკა, თორემ ისე ფეხსაც ვერ გადავდგამთ წინ, და ჩვენი დღენი დათვლილი შეიქმნება!

რა უნდა ვსთქვათ აქტიორების თამაშზე! როგორ უნდა ითამაშონ აქტიორებმა ის პიესა, რომელიც არა ბუნებრივობით და შეუფერებლობით მხოლოთ აწითლებს მაყურებელს და ზიზღს იწვევს მასში!

კიდევ განვიმეორებთ, დრო არის თავი დაანებოს ჩვენმა თეატრმა ჩვენის ისტორიის და მამულიშვილობის პროფანაციას. სცენაზე უნდა დაიდგეს მხოლოთ კარგი ისტორიული პიესები და ისიც შესაფერის მოწყობილობით.

გ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 მარტი.

პარიზი. კომბმა ნდობა მოსთხოვა პალატას, რომელსაც კომისიამ წინადადება მისცა, კონგრეგაციების ცალკ ცალკე სათხოვრების განხილვას პალატა ნუ შეუდგებაო. 300-ის ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 257-ისა პალატამ მიიღო წინადადება და დაადგინა: კომბის დღევანდელი სი-

---

ხელოვნების მიზანი პიროვნების და იმასთან ერთად საზოგადოების ზნეობრივი ამაღლებაა, რომ ამ მიზნის მისაღწევად ხელოვნების მსახურმა უნდა დაგვიხატოს როგორც სინამდვილე, ისე მომავალი, ე. ი. ხელოვნებაში საჭიროა როგორც რეალიზმი, ისე იდეალიზმი; ვნახეთ აგრეთვე, რომ ეს ორი მიმართულება ერთმანეთს სრულებით არ ეწინააღმდეგებიან. ზემოდა გვაქვს ნათქვამი, რომ ხელოვნების ობიექტი მთელი საზოგადოებაა და არა იმისი ერთი პატარა ჯგუფი. შეიძლება ეს აზრი მკითხველს პარადოქსად ეჩვენოს. ამიტომ განვმარტავთ მაგალითებით. ცნობილი დრამატურგი ჰაუპტმანი თავის შესანიშნავ დრამებში ჰხატავს როგორც გახრწნილ ბურჟუაზიის უაზრო ცხოვრებას, ისე პროლეტარიატის ჭირ-ვარამს და პროლეტარიატის მისწრაფებებს. მკითხველი ადარებს იმათ ცხოვრებას, იმათ მოქმედებას და იმისი სიმპატია უკანასკნელის მხრისკენაა. აიღეთ, მაგალითად, იბსენის პიესები. უმეტეს შემთხვევაში ეს ავტორი ეხება თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას და საკვირველად ახასიათებს იმას. წაიკითხავთ თუ არა იბსენის პიესებს, თქვენ იგრძნობთ ბურჟუაზიის ზნეობრივად დაცემას, იმის არარაობას, იმის უმიზნო ცხოვრების უვარგისობას. თქვენ საშიშარი მტერი ჰხდებით ეგრედ წოდებულ ბურჟუობისა და, მაშასადამე, მთელ ბურჟუაზიულ წყობილებისა, რადგან ბურჟუობა ბურჟუაზიულ წყობილების ნაყოფია. არ ვამბობთ, რომ ბურჟუობით მარტო ბურჟუაზია იყოს შეპყრობილი. ბურჟუობა დღევანდელ საზოგადოების საერთო სენია, იმით ყველა ჩვენგანია შეპყრობილი, იგი ყველა ჩვენგანს აწუხებს, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ ბურჟუობა თანამედროვე ქიშპობისა და ვერაგობის ნაყოფია. ამიტომ მკითხველთა სიმპატიაც იმ კლასისკენაა, რომელიც ძირს უთხრის ბურჟუაზიულ წესწყობილებას.

ცხადია, რომ მხატვარი-რეალისტი უნდა შეეხოს ცხოვრების ცუდ მხარეებსაც, ცხოვრების სიდუხჭირესაც; უნდა ხატავდეს თანამედროვე საზოგადოების ზნეობრივ დაცემას, გათახსირებას; მხატვარმა უნდა დაგვანახვოს, რა საზიზღრობასა და უსინიდისობას აქვს ადგილი დღევანდელ წყობილებაში, რანაირად გათახსირდა ადამიანი, რანაირად შეჰბორკეს იგი, რანაირად გარდაქმნეს უბრალო მანქანად. მხატვარი გვაძულებს უსამართლობას, ძალმომრეობას, თვითნებობას, ორპირობას, გვაძულებს იმ სოციალურ განწყობილებას, რომელზედაც დამყარებულია თანამედროვე ექსპლუატაცია. აიღეთ, მაგალითად, გორკი. გორკი, როგორც იბსენი, ნიცშე, ჰაუპტმანი და სხ., საშიშარი მტერი ბურჟუობისა, უმთავრესად გვიხატავს ცხოვრების ცუდ მხარეებს, ადამიანთა გაუტანლობას და ერთმანეთ შორის ქიშპობას; გვაზიზღებს ყოველგვარ ბორკილს, ყოველგვარ ექსპლუატაციას. აქედან ნათლადა სჩანს, რა დიდი სარგებლობა მოაქვს გორკის, ნათლადა სჩანს, ასე ძლიერ რატომ მოქმედებს იმისი ნაწერები მთელ კაცობრიობაზე. ცხადია აგრეთვე, რომ მწერალს სრული უფლება აქვს შეეხოს ცხოვრების ცუდ მხარეებს; არამც თუ უფლება აქვს, ვალდებულიცაა. მხოლოდ ბრმა ადამიანს შეუძლიან სთქვას, რომ თანამედროვე ცხოვრება არ იძლევა მასალას ასეთ შინაარსიან ნაწარმოებისთვის, კარგი მოვლენა უფრო ხშირია, ვიდრე ცუდიო.

ჩვენ არ შევუდგებით იმის მტკიცებას, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი განწყობილებანი უვარგისია, რომ თანამედროვე სოციალური წყობილება ექსპლუატაციაზეა დამყარებული და, მაშასადამე, დღეს სისაძაგლეც ბევრი ხდება. ჩვენის აზრით, ეს სრულიად საჭირო არ არის, რადგან მხოლოდ ძლიერ მაძღარი ხალხი (რომელთა რიცხვი მცირეა) თუ იტყვის, კარგად ვცხოვრობთო, თორემ დიდი უმრავლესობა კარგად ჰგრძნობს, რა ნაირი ექსპლუატაცია და ძალმომრეობა ჰმეფობს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეკონომიურმა კონკურენციამ ადამიანი გაამხეცა, დაავიწყა ადამიანური გრძნობანი; თანამედროვე ქიშპობა ყველაფერს სპეკულიაციის თვალით ჰზომავს, ასე წარმოიდგინეთ სიყვარულსაც-კი. ცუდმა აღზრდამ მხეცური ინსტინქტები ჩაგვინერგა და გაგვიორკეცა. ამიტომ ხელოვნებაც უნდა შეეხოს ამგვარ გარყვნილებას, ამ გვარ გავერაგებას.

მაგრამ იბადება ასეთი საკითხი: შეუძლიან თუ არა მწერალს შეეხოს ისეთ მომენტებს, რომელნიც გამოწვეულია ვნებათა ღელვის დაკმაყოფილების სურვილით, აქვს თუ არა იმას უფლება (რასაკვირველია, ზნეობრივი) დაწვრილებით აღგვიწეროს ფიზიოლოგიური პროცესი? ამ საკითხზე პასუხი ადვილი მისაცემია. რადგან დღევანდელ საზოგადოების დიდ უმრავლესობაზე პორნოგრაფიული ნაწარმოებნი ცუდად იმოქმედებს, ამიტომ ფიზიოლოგიურ პროცესების ვრცლად დასურათება სასურველი არ არის. მართალი რომ ვსთქვათ, არც ესაა საჭირო. საკმარისია მწერალმა მოკლედ აღნიშნოს ფაქტი, მკითხველი ისედაც წარმოიდგენს ამა თუ იმ ფაქტის სისაძაგლეს. ფიზიოლოგიურ პროცესების დასურათება ხელოვნების საქმე არ არის. კერძოდ ჩვენ წინააღმდეგი ვართ პორნოგრაფიულ ნაწარმოებისა, მავნებელ მოვლენად მიგვაჩნია საფრანგეთის უკიდურეს ნატურალისტთა ნამოქმედარი, მაგრამ ეს იმას არა ჰნიშნავს, ვითომ წინააღმდეგი ვიყოთ საზოგადოდ იმ ნაწარმოებისა, რომელშიაც ავტორი გამხეცებულ და ვნებათა ღელვისაგან ატოკებულ ადამიანის მოქმედებას აღნიშნავს. ბევრი ცუდად სარგებლობს სიტყვით „პორნოგრაფია“-თი და ყოველ ნაწარმოებს, რომელშიაც ნახმარია სიტყვა როსკიპი, ან რომელშიაც დახატულია იმისი ყოფა-ცხოვრება, პორნოგრაფიულს უწოდებს. თუ რამდენად შემცდარია ეს შეხედულება, მკითხველმა უკვე იცის ზემო ნათქვამიდან. ვიმეორებთ, უკიდურეს ნატურალისტთა წინააღმდეგნი ვართ და არა ვნებათა-ღელვისაგან გამხეცებულ ადამიანის ფსიხოლოგიისა; ვიმეორებთ, ფიზიოლოგიურ პროცესების ვრცლად დახატვა მეცნიერების საქმეა და არა ხელოვნებისა.

ამ რიგად, ჩვენის აზრით, მწერალს არა თუ უფლება აქვს, ვალდებულიცაა შეეხოს ცხოვრების ცუდ მხარეებს, რა ნაირიც უნდა იყოს ეს მხარეები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვლენა ტიპიურია, თუ ის თანამედროვე საზოგადოების ნიშნობლივ თვისებას შეადგენს. მხატვარი სცდილობს თავის ნაწარმოებით მკითხველებზე ზნეობრივი გავლენა იქონიოს, მაშასადამე, საზოგადოების გასასწორებლად საჭიროა ამგვარი ბიწიერებაც შეგვაძულოს და შეგვაზიზღოს გარყვნილება. რასაკვირველია, ლიტერატურა ვერ მოსპობს ამ გვარ ანომალიებს, რადგან ეს გამოწვეულია სოციალურ წყობილების მიერ, მაგრამ ლიტერატურა ამზადებს და ასწავლის ხალხს, აგნებინებს თავისს საცოდავ მდგომარეობას და ბრძოლის ველზე გამოჰყავს. ესეც ხომ დიდი საქმეა, ეს როლიც საკმაოა ხელოვნებისათვის.

(დასასრული იქნება)

ტუა კონგრეგაციებსა და საფრანგეთის ჰყავდა თემში გამოიფინოსო.

ლონდონი. კრანბორნს შეეკითხნენ და ამსანაგ აცნობა, რომ მონასტირში ვიცე-კონსული დაინიშნა, რადგან იქ შიშიანობა ჩამოვარდაო.

ტანჟერი. ხმა დადის, რომ ესანის შერიფმა სულთანის ძმა მულეი მაჰმედი ესანის სულთანად გამოაცხადაო.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. როცა იმაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ჯარების რიცხვი 235.761 კაცი იყოსო, კონსერვატორმა ჟაბსმა ამ რიცხვის 3 ათასით შემცირება მოითხოვა. ეს წინადადება უარ-ჰყო პალატამ და ისევ ის რიცხვი ჯარებისა დაამტკიცა, რომელიც წარმოდგენილი იყო.

ჰელსინგფორსი. გენერალ-გუბერნატორ ბობრიკოვისაგან იმისმა თანაშემწემ შემდეგი დეპეშა მიიღო პეტერბურგიდან: „ხელმწიფე იმპერატორმა მოიწონა ჰელსინგფორსში 1-ლ მსროლელ პოლკში სასადილო გაიმართოს იმათთვის, ვინც უმუშაობით გაჭირვებულნი არიან. ამასთანავე მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ კეთილ-ინება და ყოვლად მოწყალე უმაღლესი სურვილი გამოაცხადა, ამ კეთილ საქმისათვის განსაკუთრებით ფული შეეწიროს და ეს ფული „წითელი ჯვრის საზოგადოების" ფინლანდიის სამართველოს განკარგულებაში იქმნეს. რამდენი იქმნება ეს ფული ცალკე გაცნობებთ."

ლოძი. სასამართლომ გაამართლა „ნადეჟდა"-ს საზოგადოების მთავარ აგენტად ყოფილი ფრიდშტეინი და სხვებიც, გარდა სოლომონ გაზელისა, რომელსაც არ მიუსაჯა სასჯელი, რადგან ბრალდებულმა თვითონ აღიარა, განზრახვას ჩემის ნებით თავი დავანებეო.

ბაქო. დროებითმა სამხედრო-სასამართლომ გაიხილა რკინის გზის მატარებელში მოკლულ კონტროლერის გედევანოვისა და კონდუქტორის სტურუას საქმე და შემდეგი განაჩენი დაადგინა: კოლომინი და ჩერნიკოვი ჩამოახრჩონ, დიუბიმოვი-კი ოცის წლით კატორღაში გაიგზავნოსო.

ჰელსინგფორსი. რადგან უსაქმოდ დარჩენილი მუშები სჩივიან, ჰელსინგფორსის ექიმების მოპატიჟება მუშა-ავადმყოფთან ძვირად გვიჯდებაო, „წითელი ჯვრის" განყოფილებამ უფასო ექიმი დაუწესა მუშებისათვის. ჰელსინგფორსის სამხედრო საავადმყოფოს რუს-ექიმებმა გამოაცხადეს უსასყიდლოდ ვივლით მუშებთან ბინაზე საექიმოდაო, წამლები-კი „წითელი ჯვრის" ხარჯით დაურიგდებათ; მოსიარულე ავადმყოფთ სამხედრო საავადმყოფოში მიიღებენ, მუქთად უექიმებენ და წამალსაც „წითელი ჯვრის" ხარჯით მისცემენ.

კიევი. ორი წლიწადი იქმნება განსვენებულმა ტერეშჩენკომ ქალაქს 150 ათასი მანეთი შესწირა ორ-კლასიან სასწავლებლისა და მასთან საპედაგოგიო მუზეის დაარსებისათვის. ამ საქმის უფრო დროზე განსახორციელებლად, განსვენებულის შვილმა ალექსანდრე ტერეშჩენკომ სურვილი გამოაცხადა 100 ათას მანეთის შეწირვისა უფრო ვრცელის სამოსახლოს საყიდლად, აგრეთვე 120 ათას მანეთისა—სასწავლებლის შესანახად. საბჭომ დაადგინა: განსაკუთრებული დეპუტაცია დაინიშნოს შემწირველისათვის მადლობის გამოსაცხადებლად.

7 მარტი.

ბუდაპეშტი. იმპერატორი ფრანც-იოსები 6 მარტს ვენას წავიდა.

კონსტანტინეპოლი. 5 მარტს გამოცხადებულს ირადეში ადენში ადგილების განსაზღვრის შესახებ აღნიშნულია ინგლისისაგან ნაჩვენები სამხედრო საზღვრები.

სოფია. მთავრობამ კრებას წარუდგინა საზოგადო სადამოჟნო ტარიფის პროექტი.

სამხედრო მინისტრი ბეჯითად თხოულობს სამსახურიდან გადადგომას და აღარ ესწრება კრებას.

პეტერბურგი. ხელმწიფე-იმპერატორმა და იმპერატრიცამ დაათვალიერეს ცირკ დედოფლის სახლობის ძმათა თავშესაფარი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

ბაჟოსადმი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 14 თებერვალს
ვექსილის კურსი 10 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ზი	94,05
ბერლინზე 100 მარკაზე	—
პარიზზე 100 ფრანკზე	—
ლონდონზე ჩეკები	94,90
ბერლინზე „	46,27½
პარიზზე „	37,72½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98¼ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100¼ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100 „
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	95 „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	454 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	364 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ. მამ. ბანკისა	306½ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 0ს წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (საშზაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 სა 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის. № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ყორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 48 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ.(4 ს 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ყორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა-სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტერovisa. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში დღეს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულბენცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ხეხილის ნერგები

საზღვარ-გარეთისა და ადგილობრივ საუკეთესო ხარისხისა იყიდება ზომიერ ფასად ფარს. იაკ. ავსარქისოვის მამულში.

ადრესი: უბრალო წერილებისთვის—**ხძრა** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგური; ხოლო ფულისა და შეკვეთილ წერილებისა—**გორში**, ფარს იაკ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ. (10—3)

ჩამოტანილია ტფილისში ამხანაგობა «შრომის» სანერგეებიდან

ხეხილები

1—3 წლისა უცხოეთის და ადგილობრივ ჯიშისა.

მიჰმართეთ აფრინაანცს მელიქ-ბახტამიანცის მაღაზიაში, სადაც ამ ხეხილების საწყობია. (10—2)

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის
ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ
(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—6 მანეთი.	1 წლით—9 მ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე"-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც „**მოამბეს**" მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და „**ცნობის ფურცელი**" უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის", ისე „მოამბის" ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის
ახალი სურათი,

წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ღირება.

ამ 1903 წელს „**მოამბე**"-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის რომანის „ვოინა ი მირ"-ის თარგმანი, „რომის ისტორია" და სხვა.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе" и „Цнобисъ-Пурцели".**

ტფილისის სამარხი კასა

ქართულ თეატრის დარბაზში, მარტის 9 რიცხვს, კვირას, დილის 11 საათზედ დანიშნულია ტფილისის სამარხი კასის წევრთა საზოგადო კრება: განსახილველად და დასამტკიცებლად წლიურის ანგარიშისა, ამოსარჩევად სამის სარევიზიო და ერთის გამგეობის წევრისა და მათი ნაცვლებისა. (6—2)

განცხადება

ვაჭრობა ფართლეულობის საქონლით დაბა ყვირილაში რაფიელ გველესიანისა.

პატივი მაქვს ვაცნობო შორაპნის მაზრის საზოგადოებას, რომ მაღაზია, რომელიც ყვირილის სადგურის პირ-და-პირ მქონდა, გადავიტანე ზედა ხიდის გვერდზედ.

მაღაზიაში იშოვება ყოველ გვარი ახლად მიღებული კარგი საქონელი. იმედი მაქვს, საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ოცდა ათის წლის გაცნობილს მაღაზიას. საქონელი იყიდება დაკლებულ ფასად.

შორაპნის მაზრის საზოგადოების პატივის მცემელი **რაფიელ გველესიანი.** (20—15)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნიე ნომრების" ქვეშ).

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვადა-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—12)

Дозв. ценз. Тифлисъ, 7 Марта, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)